ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 776

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 21 ნოემბერი 2014 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები:**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, მომსახურე ბანკი - ,,ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE74LB0120137474229000 – (შემდგომში - ,,შემსყიდველი)

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „სტ ოილი" მისამართი: ქ. თბილისი კანდელაკის ქ. N 1 ს/კ 205169538 მომსახურე ბანკი- „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი კოდი LBRTGE22 ა/ა GE76LB0113171202103000- **შემდგომში მიმწოდებელი**

3 ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV 09100000 / 09134210 **დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებულ სოფ. მენესოს გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო სადიზელო საწვავის შეძენა 150 ლიტრის ოდენობით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასყიდი საქონლის ღირებულება შეადგენს 285 (ორასოთხმოცდახუთი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) **მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს: ერთი ლიტრი- 1.90 ლარს.**

ბ) **საწვავი მიწოდებული იქნება მისამართზე: სოფ. არაგვისპირი.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მიწოდების დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ჭართლის ტერიტორიულ ერთეულში და გამგეობის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილება.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საწვავი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების სეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელსეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლისმხრიდან ხელშეკრულების 18.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაშიმას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულებისღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2014 წლის 31 დეკემბერი.

18.2 საქონლის მიწოდების ვადაა: –2014 წლის 30 ნოემბერი.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტი
გამგებელი: /ვ.ჩოხელი/

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „სტ ოილი"-ს დირექტორი : **/თ. მირესაშვილი/**

საქართველო
დუშეთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა

GEORGIA
Administration of Dusheti
Municipality

1800 ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27
☎: (0-346) 22–19–90, 22–19–89

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება N

21 ნოემბერი 2014 წელი

ქ. დუშეთი

ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფ. მენესოში დაზიანებული გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მოწოდებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციისა და ტეროტორიის კეთილმოწყობის განყოფილების მიერ შესწავლილია ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფ. მენესოში წვიმის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდითი სამუშაოების საკითხი და წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშება - სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის გათვლა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 99-მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1) ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფ. მენესოშო გზის გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 150 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 285 ლარი.

2) დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილებამ უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;

3) შესყიდული საწვავის მიღება და განაწილება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის სამეურნეო-ტექნიკურმა განყოფილებამ (გ. ჭონქაძე);

4) საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში ზურაბ ჩიტაურს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი /ვ. ჩოხელი/